# დადგენილება

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად,

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**.

დამტკიცდეს ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე  წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესი“ (დანართი 1).

**მუხლი 2**.

დამტკიცდეს პირუტყვის სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობისათვის გაწეული ხარჯის დაფარვის შესახებ ქვითრის ფორმა.(დანართი 2)

**მუხლი 3**.

დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებისთანავე.

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები** ეს წესი აწესრიგებს:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროს (შემდგომში კურორტი ბახმარო) საზღვრებში (დასახლებულ ტერიტორიებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების პირობებს.

ბ) სპეციალურ სადგომში გადაყვანილი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის გადაყვანისა და მოვლა-პატრონობისათვის გაწეული ხარჯის ოდენობასა და გადახდის წესს, ასევე მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

გ) წესი ვრცელდება კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე დაჭერილ და სპეციალურ სადგომში გადაყვანილ წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრეზე/მფლობელზე.

**მუხლი 2. გადაწყვეტილების მიზანი**

აღნიშნული წესის მიზანია კურორტ ბახმაროში იერსახის, სისუფთავის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა.

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კურორტი ბახმარო - ტერიტორია, რომელსაც ,,საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ( 2014.03.07.№428) შესაბამისად მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი.

ბ) პატრონიანი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე და კონკრეტული მომენტისთვის იმყოფება მეპატრონის, ან მეპატრონის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ;

გ) უმეთვალყურეო ცხოველი - ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა სადგომში (სპეციალურად გამოყოფილი ადგილი) გადაყვანიდან წესით განსაზღვრულ ვადაში დაუდგინდება მეპატრონე;

დ) ცხოველის მესაკუთრე (მფლობელი) - პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის წინამდებარე წესით დადგენილ მოვლა-პატრონობას;

ე) ცხოველის მოვლა პატრონობა-ცხოველის კვება, ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით;

ვ) ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება - ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა;

ზ) ცხოველთა სადგომი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, რომელშიც შესაძლებელია ცხოველთა გარკვეული რაოდენობის მოთავსება მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

**მუხლი 4. პირუტყვის მოვლა-პატრონობა**

წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრეები(მფლობელები) ვალდებულნი არიან:

ა) არ დაუშვან მათი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის გაშვება კურორტის დასახლებულ ტერიტორიებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ბ) მკაცრად დაიცვან წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის შენახვის წესები, უზრუნველყონ გარემომცველ პირთა უსაფრთხოება და არ დაუშვან წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მიერ საერთო საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დაბინძურება, მწვანე ნარგავების (მწვანე საფარის) დაზიანება კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე.

გ)პირუტყვის გვამის დამარხვა უნდა განხორციელდეს სპეციალურ გამოყოფილ ადგილებში;

დ) პირუტყვის მეპატრონემ უზრუნველყოს ვეტერინარულ-სანიტარული შემოწმება, ვაქცინაცია და შესაბამის ცენტრში მათი აღრიცხვა.

ე) მეპატრონემ პირუტყვის დაავადების კლინიკური ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოს ვეტერინარს;

ვ) მეპატრონე ვალდებულია აანაზღაუროს მისი პირუტყვის მიერ მიყენებული ზარალი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 5. წვრილფეხა და მსხვილფეხა უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების პირობები, კონტროლზე უფლებამოსილი ორგანო და მისი პასუხისმგებლობა**

1. კურორტ ბახმაროს დასახლებულ ტერიტორიებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აკრძალულია წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილება.

2. კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვზე კონტროლის ორგანიზება განეკუთვნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელსაც განახორციელებს ა(ა).ი.პ ,,კურორტი ბახმაროს" მეშვეობით. უფლებამოსილი ორგანო დაუყოვნებლივ ახდენს მოხეტიალე პირუტყვის დაჭერას და გადაჰყავს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სადგომზე), სადაც ხდება პირუტყვის იზოლირება.

3. უმეთვალყურეოდ (უპატრონოდ) მიტოვებული მოხეტიალე პირუტყვის იზოლირება-განთავსება ხდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სადგომში) სათანადო მოვლით, შენახვით, დაცვით, კვებისა და დარწყულების უზრუნველყოფით.

4. უმეთვალყურეოდ გაშვებული წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერის შემთხვევაში ავრცელებს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ იმგვარად, რომ ივარაუდებოდეს ინფორმაციის საზოგადოების ფართო ფენებისადმი მისაწვდომობა. გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოწოდებას მესაკუთრის გამოცხადების შესახებ.

5. კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯები შეადგენს 10 (ათი) ლარს. მომსახურეობის საფასური გაიანგარიშება წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის მიხედვით.

6. გადახდა წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო დაწესებულებაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, მომსახურეობის საფასური მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. მომსახურეობის საფასურის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უფლებამოსილ ორგანიზაციას. გადახდა დასტურდება მომსახურეობის საფასურის გადახდის თაობაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, დადგენილი ფორმის ქვითრის წარდგენით.

7. ა.(ა).ი.პ ,,კურორტი ბახმარო" პასუხისმგებელია წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე და ვალდებულია:

ა) სათანადო დონეზე განახორციელოს იზოლირებული პირუტყვის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დაცვა, კვება და დარწყულება;

ბ) არ განახორციელოს იზოლირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მიმართ არაჰუმანური და კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი.

გ) აწარმოოს ცხოველთა მონაცემების ბაზა;

დ) წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის სადგომზე მიყვანისთანავე პირუტყვს ჩაუტაროს შესაბამისი ვეტერინარული შემოწმება შესაბამისი ექიმ-ვეტერინარის წერილობითი დასკვნით, რის საფუძველზეც დგინდება, არის თუ არა იზოლირებული შინაური ცხოველი რაიმე დაავადების მატარებელი და ქმნის თუ არა, გადამდები დაავადებების გავრცელების საშიშროებას. ვეტერინარული შემოწმება უნდა ჩაუტარდეს ასევე იზოლირებული შინაური ცხოველის მეპატრონისათვის დაბრუნების დროს;

ე) ამ წესითა და საკუთარი წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

8. იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული შინაური ცხოველი (პასუხისმგებელი ორგანიზაციის ბრალით, გაურკვეველი მიზეზების გამო) დაიღუპა, მაშინ მესაკუთრისადმი მიყენებულ ზარალს მთლიანად ანაზღაურებს, წინამდებარე წესის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 6. ცხოველთა სადგომები**

წინამდებარე წესის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად უნდა ჰქონდეს:

ა) შერჩეული (გამოყოფილი) სპეციალურად ამ საქმიანობისათვის სათანადოდ შემოღობილი და აღჭურვილი ტერიტორიები/სადგომები;

ბ) შესაბამისი პირობები იზოლირებული შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისათვის;

გ) შესაბამისი ხელშეკრულება ექიმ-ვეტერინართან, რომელიც განახორციელებს იზოლირებული შინაური ცხოველის ვეტერინარულ შემოწმებას.

**მუხლი 7. შინაური ცხოველის მესაკუთრის (მფლობელის) პასუხისმგებლობა**

1. იზოლირებული შინაური ცხოველის მეპატრონე (მესაკუთრე) ვალდებულია მიაკითხოს შესაბამის ორგანიზაციას. იზოლირებული შინაური ცხოველის მეპატრონის მიერ მფლობელობის დამტკიცების, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ იზოლირებული შინაური ცხოველი უბრუნდება მესაკუთრეს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული შინაური ცხოველის მესაკუთრე ვერ ადასტურებს მასზე საკუთრების უფლებას, მაშინ იზოლირებული შინაური ცხოველი უბრუნდება მეპატრონეს მხოლოდ მოწმეების ჩვენების საფუძველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ.

3. იმ შემთხვევაში, თუ შინაური ცხოველის იზოლირების ფაქტის შეტყობინების მომენტიდან მესაკუთრე (მეპატრონე) 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გადაიხდის დაწესებულ პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯებს, ექიმ-ვეტერინარის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, თუ შინაური ცხოველი ჯანმრთელია, იგი ექვემდებარება რეალიზაციას. ამოღებული თანხიდან დაიფარება პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა გადაეცემა რეალიზაციაში გაშვებული შინაური ცხოველის ყოფილ მესაკუთრეს. რეალიზაციის შემდგომ, პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღება.

4. იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული შინაური ცხოველის მესაკუთრის ვინაობა ვერ დადგინდა 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ექიმ-ვეტერინარის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, თუ შინაური ცხოველი ჯანმრთელია, იგი ექვემდებარება რეალიზაციას და ამოღებული თანხა ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

**მუხლი 8. შინაური ცხოველის (პირუტყვის) მოკვდინება**

იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული შინაური ცხოველი (პირუტყვი) ექიმ-ვეტერინარის მიერ ჩატარებული შემოწმების და მისი დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდება დაავადებული და ქმნის გადამდები დაავადებების გავრცელების საშიშროებას, მაშინ იგი შესაბამისი სანიტარიული ნორმების (წესების) დაცვით ექვემდებარება განადგურებას.